სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №7/2019

ქ.თბილისი „31“ დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსი მოვალოების შემსრულებელი გიორგი იაკობაშვილის სახით და მეორეს მხრივ, სს „სილქნეტი“ (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის, მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“)_შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართულია ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“- საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3. „დღე“ , „კვირა“ , „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. “რეგლამენტი“ - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის დადგენილება №3 „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თობაზე“.

1.7. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული შესყიდვის ობიექტი.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შეყიდვის ობიექტია ინტერნეტმომსახურება (CPV 72400000).

2.2 შესყიდვის ობიექტის დასახელება და დეტალური აღწერილობა მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი **№1-ის სახით**, რომელიც წარმოადგენს „ხელშეკრულების“ განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **3 350** (სამი ათას სამასორმოცდაათი) ლარსა.

3.2. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ, ეკონომიკური საქმიანობიდა მიღებული საკუთარი შემოსავლები.

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ფასები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების **დანართი №1-ის** შესაბამისად.

3.4.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ინტერნეტმომსახურების საინსტალაციო ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანომდებლობით გათვალისწინებულ ყველა შესაბამის გადასახადებს.

4. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

4.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შემსყიდველისათვის მიწოდება უნდა უზრუნველყოს 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. მომსახურება შემსყიდველს უნდა მიეწოდოს უწყვეტად 24 საათის განმავლობაში.

4.3. მომსახურების გაწევის ადგილები მითითებულია წინამდებარ ხელშეკრულების **დანართი №1-ში.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. „მიმწოდებელი" ვალდებულა:

5.1.1.უზრუნველყოს ხარისხიანი მომსხურების გაწევა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

5.1.2.უზრუნველყოს შემსყიდველი მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი ინფორმაციით;

5.1.3.მომსახურების გაწევის პერიოდში არსებული დაზიანება აღმოფხვრას „რეგლამენტის", „ხელშეკრულებისა და მისი დანართბის პირობების შესაბამისად, „მომსახურებასთან" დაკავშირებული საჩივრებისა და პრეტენზიების განხილვა ხორციელდება „მიმწოდებლის მიერ „ხელშეკრულებისა" და „რეგლამენტის" შესაბამისად;

5.1.4. ხელშეკრულების 5.3.3. ქვეპუნქტით დადგენილი წესის შესაბამისად შემსყიდველისგან გაუმართავი მომსახურების შესახებ წერილობითი/სატელეფონო შეტყობინების მიღების შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებული შემსყიდველის ზემოაღნიშნული განაცხადის მიღებიდან „რეგლამენტის" მე -18[1] მუხლით განსაზრვულ ვადებში აღმოფხვრას დაზიენება. ხოლო იმ შემთხვევაში , თუ კონკრეტული დაზიანების აღმოფხვრის ვადას „რეგლამენტი" არ ითვალისწინებს, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება, შემსყიდველის მიერ შესაბამისი შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5.1.5. დაგეგმილი პროფილაქტიკური და აუცილებელი სარემონტო სამუშაოების არსებობის შემთხვევაში გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე შეატყობინოს შემსყიდველს აღნიშნულის შესახებ

5.1.6. არ გაამჟღავნოს შემსყიდველის პერსონალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დავალიენების დაფარვა ხორციელდება მესამე პირის მიერ ან/და კანონმდელობობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში

5.1.7. ათი სამუშაო დღით ადრე წერილობით შეატყობინოს შემსყიდველს ინფორმაცია მომსახურების ტარიფების ცვლილების შესახებ.

5.2. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

5.2.1 შეზღუდოს მომსახურების გაწევა ღირებულების გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან.

5.2.2 ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების 5.1.5 ქვეპუნქტის მოთხოვნის გათვალისწინებით, დროებით შეაჩეროს ან/და შეზღუდოს „მომსახურება“ პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად, „რეგლამენტით“ დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. შემსიდველი ვალდებულია

5.3.1. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან, ხელი შეუწყოს მომწოდებელს მომსახურების მოსაწყობად აუცილებელი სამუშაოების შესასრულებლად.

5.3.2. აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად:

5.3.3. ნებისმიერი ტიპის დაზიანების შემთხვევაში, მისი წარმოშობიდან გონივრულ ვადაში, წარადგინოს წერილობით განცხადება მიმწოდებლის ნებისმიერ სერვის-ცენტრში, ან ზეპირი შეტყობინება განახორციელოს სატელეფონო მომსახურების ცენტრში: (+995 032) 2 100 100

5.3.4. მომსახურების გაწევის ადგილად რეგისტრირებული უძრავი ქონების გასხვისების ან/და უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტის შემთხვევაში, წინასწარ უზრუნველყოს მომსახურებით სარგებლობის უფლების გადაცემა უძრავი ქონების ახალ მესაკუთრეზე ან მოსარგებლეზე, ან/და წერილობით მოითხოვოს მომსახურების გაწევის მისამართის ცვლილება ან მომსახურების გაწევის შეწყვეტა დადგენილი წესის შესაბამისად:

5.3.5. მომსახურებით სარგებლობის უფლება მესამე პირს გადასცეს მხოლოდ მიმწოდებლის წერილობითი თანხმობის შემთხვევაში.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია

5.4.1 აწარმოოს გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის კონტროლი ხელშეკრულების მოქმდების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4.2 მიმწოდებლის მიერ მომსახურების ტარიფების შეცვლის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება, რის შესახებაც ოპერატორს აცნობოს ტარიფის შეცვლის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

6. ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია აწარმოებს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირებას ხელშეკრულების მოქმედების ნებისმეირ ეტაპზე.

6.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

7. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე, ყოველთვიურად, მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი შესაბამისი ღირებულების ასახვით.

7.2. შემსყიდველის მხრიდან, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

8.1.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.1.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესბამისად;

8.3. გაწეული მომსახურების ანაზღაუროება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,01 %-ის ოდენობით, ყოველ ასეთ შემთხევაზე.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 9.1. პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულები 1%, შემსყიდველს უფლება ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

10. ხელშეკრულების ცვლილების შეტანა

10.1. ხელშეკრულებაში ცვლილება დაიშვება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

10.2. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევიბის დადგომის დროს ხელშეკრულების საერთო ღირებულების ზრდა შესაძლებელია არაუმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ფარგლებში, სხვა რისკეს იღებს მიმწოდებელი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულება ჩაითვლება შეწყვეტილად თუ შემსყიდველს მიერ არ მოხდება დავალიენების დაფარვა გადახდის დღის დადგომიდან არასრული სამთვიანი ვადის მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

11.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული შემთხვევაში, მხარეთ ურთიერთ შეთანხმებით, საქართველოს მოქმედი კანომდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 მარტის ჩათვლით.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება მორიგებით.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან/და სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა (ფორს-მაჟორი)

14.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ მათი კონტროლისგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზის შესახებ, თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობითი პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისადა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერანიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

16 მხარეთა რეკვიზიტები

შესმსყიდველი	მიმწოდებელი
სურსათის ეროვნული სააგენტო მის: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის #6 ს/კ 205142200 ბანკი : სახელმწიფო ხაზინა კოდი: 200122900 ანგარიში: 220101222 საკონტაქტო №/მობ: 599 85 09 29 E-mail: fridon.alavidze@nfa.gov.ge	სს „სილქნეტი" მის: წინამძღვრიშვილის #95 ს/კ 204566978 ბანკი „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE41BG0000000878415000 სკონტაქტო №: 2 100 200
სააგენტოს უფროსის მ/შ გიორგი იაკობაშვილი _____	კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი _____ მალხაზ ჟორჟიკაშვილი

№	ქალაქი	მისამართი	ტექნიკური მოთხოვნები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ამბროლაური	ამბროლაური, ბრატისლავა რაჭის ქუჩა № 64	გლობალური სიჩქარე - არანაკლებ 0 მგბ/წმ ლოკალური სიჩქარე - არანაკლებ 20 მგბ/წმ	თვე	1	335.00	335.00
2	ახალციხე	ახალციხე, ახალქალაქის გზატკეცილი	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
3	ბათუმი	ბათუმი, იაკობ გეგეშაშვილი №46ა	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
4	გორი	გორის რნ, სოფელი კარალეთი	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
5	ზუგდიდი	ზუგდიდი, გამსახურდიას მე-2 შეს.	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
6	თელავი	თელავი, ალაზნის გამზირი	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00

7	მცხეთა	მცხეთა, სამხედროს ქუჩა №11	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
8	ოზურგეთი	ოზურგეთი, ვიქტორ დოლიძის №10	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
9	რუსთავი	რუსთავი, მარის არხის I დასახლება №150	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
10	ქუთაისი	ქუთაისი, ნიკეას ჩიხი N5 „ბ“	•გლობალური სიჩქარე არანაკლებ 0 მბ/წმ სინქრონული (upload-download) ლოკალური სიჩქარე არანაკლებ 20 მბ/წმ სინქრონული (upload-download)	თვე	1	335.00	335.00
სულ							3 350.00

კომპანიის კუთვნილი ტექნიკური საშუალებების დაზიანებისას/დაუბრუნებლობისას ხელშეკრულების/დანართის გაფორმების მომენტისთვის აბონენტზე დასარიცხი ტექნიკური საშუალებების სარეალიზაციო ღირებულება	
მოწყობილობის დასახელება	ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება
ოპტიკური მედია კონვერტორი □	_250

მომსახურების საფასურის გადახდის თარიღი

1. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.
2. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/აისახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე;
3. ინსტალაციის ერთჯერადი საფასურის გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის საბონენტო გადასახდელთან ერთად.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები:

1. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;
2. მომსახურების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება.
3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, ხელშეკრულება წყდება.
4. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების დაფარვის პირობით.
5. თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ოპტიკური სილქ ინტერნეტ ან/და VOIP სატელეფონო/სილქ ტვ მომსახურება, ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტისას იგი არ არის ვალდებული დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.
6. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

მომსახურების საფასურის გადახდის, მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის არასტანდარტული პირობები:

კომპანია

სს „სილქნეტი“

ს/კ 204566978

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

აბონენტი

_____

ს/კ: _____

(უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, თანამდებობა)

4. ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის გასვლისას, მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვიდან, დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, აბონენტს ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურება ეზღუდება ორმხრივად (იზღუდება შემავალი ზარიც).
5. DSL ინტერნეტ–მომსახურებასთან ტექნოლოგიურ ბმაში მყოფი ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურების ორმხრივად შეზღუდვიდან არასრული 4 (ოთხი) თვის განმავლობაში, აბონენტს შესაძლებლობა ეძლევა აღადგინოს მომსახურება ერთიან ანგარიშზე არსებული ყველა მომსახურებისთვის დარიცხული დავალიანების სრულად დაფარვისა და ფიქსირებული სადენიანი ქსელით სატელეფონო მომსახურების აღდგენის საფასურის გადახდის პირობით (აღდგენის საფასური შესაძლებელია გადახდილ იქნეს მომსახურების ჩართვიდან მომდევნო თვის სააბონენტო გადასახდელთან ერთად).
6. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული შვიდი თვე) განმავლობაში, აღნიშნული ვადის დასრულების მომდევნო თვის 1 (პირველი) რიცხვში ხელშეკრულება წყდება.
7. DSL ინტერნეტ-მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების ცალმხრივად შეზღუდვიდან არასრული 8 (რვა) თვის განმავლობაში. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებითსარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

შესმსყიდველი	მიმწოდებელი
სურსათის ეროვნული სააგენტო მის: ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის #6 ს/კ 205142200 ბანკი : სახელმწიფო ხაზინა კოდი: 200122900 ანგარიში: 220101222 საკონტაქტო №/მობ: 599 85 09 29 E-mail: fridon.alavidze@nfa.gov.ge	სს „სილქნეტი“ მის: წინამძღვრიშვილის #95 ს/კ 204566978 ბანკი „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE41BG0000000878415000 სკონტაქტო №: 2 100 200
სააგენტოს უფროსის მ/შ გიორგი იაკობაშვილი _____	კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსი _____ მალხაზ ჟორჟიკაშვილი

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სს „სილქნეტი"-ს მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს
უფროსის მ/შ ----------

იურიდიული დეპარტამენტი ----------

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი ----------

ადმინისტრაციის დეპარტამენტი ----------

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო ----------

ხელშეკრულების პირობების შესრულებზე კონტროლის განმახორციელებელი პირები:

1. ირაკლი რუხაძე ----------
2. ლევან ებანოიძე ----------
3. ირაკლი ჩიხლაძე ----------